

საჯარო სამართლის იურიდიული პირის–ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის რექტორის აპარატის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ–ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში კოლეჯის) რექტორის აპარატის სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს რექტორის აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას
2. კოლეჯის რექტორის აპარატი წარმოადგენს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს
3. კოლეჯის რექტორის აპარატი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, კოლეჯის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად
4. რექტორის აპარატი თავისი ამოცანებისა და ფუნქციების გამხორციელებისას წარმოადგენს კოლეჯს
5. რექტორის აპარატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია კოლეჯის რექტორისა და ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელის წინაშე

მუხლი 2. რექტორის აპარატის ფუნქციები, სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. რექტორის აპარატის ფუნქციებია:

- ა) კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების–ფაკულტეტის, ბიბლიოთეკის და სხვა არსებული ქვედანაყოფების და მესამე პირებთან კოლეჯის რექტორის ურთიერთობების ხელშეწყობა
- ბ) კოლეჯის რექტორის უფლებამოსილებების განხორციელებაში დახმარების გაწევა
- გ) კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების–ფაკულტეტიდან, ბიბლიოთეკიდან და სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან რექტორის სახელზე შემოსული ანგარიშების სისტემატიზაცია

მუხლი 3. რექტორის აპარატის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. რექტორის აპარატს ხელმძღვანელობს რექტორის მოადგილე (რექტორის აპარატის უფროსი), რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი
2. რექტორის აპარატში შედიან: რექტორის მოადგილე (რექტორის აპარატის უფროსი), რექტორის თანაშემწე და იურისტი
3. რექტორის მოადგილე:
 - ა) წარმოადგენს რექტორის აპარატს და პასუხს აგებს აპარატის საქმიანობის კანონიერად წარმართვაზე
 - ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანაწილებს მოვალეობებს თანამშრომლებს შორის
 - გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს სარეკომენდაციო გადაწყვეტილებებს
 - დ) მოადგილე ვალდებულია რექტორის დავალებით ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს რექტორის სახელზე სამომავლო გეგმების წარმოდგენა
 - ე) უზრუნველყოფს რექტორის აპარატის საქმიანობაში კანონიერებისა და კონფიდენციალურობის დაცვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში

ვ) ახდენს ყოველთვიურ ანგარიშისა და სამომავლო გეგმების წარდგენას კოლეჯის რექტორის და ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელის წინაშე

ზ) ასრულებს კოლეჯის რექტორის და ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელის დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, კოლეჯის წესდების, წინამდებარე დებულების სხვა ფუნქციებს და დავალებებს

4. რექტორის აპარატის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს რექტორის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც ნიშნავს რექტორი

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით